

1. განივი ელექტრომაგნიტური უჯრედის (TEM Cell-ის) მოდელირება და პატრამეტრების დადგენა

განივი ელექტრომაგნიტური უჯრედის ე.წ. Transverse Electromagnetic Cell (TEM Cell) წარმოადგენს ელექტრომაგნიტური ტალების გამტარს, რომელშიც საკვლევი ბიოლოგიური ობიექტის მოთავსების შემთხვევაში მოხდება ამ ობიექტის დასხივება გამავალი ელექტრომაგნიტური ტალღებით. დოზიმეტრიის ამოცანებიდან გამომდინარე, ასეთ ექსპერიმენტში აუცილებელია, რომ იმ არეში სადაც მოთავსებული იქნება ბიოლოგიური ობიექტი, ელექტრომაგნიტური ველი იყოს ერთგვაროვანი. ეს იმას ნიშნავს, რომ ველი უნდა იყოს ანალოგიური ე.წ. შორი ველისა, სადაც ტალღის ფრონტი არის ბრტყელი.

ასეთი ამოცანის გადასაჭრელად საჭროა დადგენილ იქნას TEM Cell-ის როგორც ოპტიმალური ფორმა ასევე ზომები.


იმის გამო, რომ TEM Cell-მა უნდა გაიმეოროს ტალღის გამტარი კაბელის ფუნქცია, გადავწყვითებ შეგვექმნა TEM Cell რომელსაც ექნებოდა მართკუთხა გამტარის ფორმა. ამასთანავე გადავწყვიტეთ რომ ბოლოები წაწვეტებული ყოფილიყო. წაწვეტებული ბოლოები საშუალებას იძლევა არეკვლებისა და დანაკარგების გაერეშე მოხდეს ელექტრომაგნიტური ტალღის გატარება ტალღგამტარში. წინააღმდეგ შემთხვევაში ველი TEM Cell –ში საერთოდ არ იქნებოდა ერთგვაროვანი, ე.ი შეუძლებელი იქნებოდა დოზიმეტრირება. ამას გარდა TEM Cell -ის შუა ნაწილი ე.წ. septum წამოადგენს განსაზღვრული ფორმის გამტარს, რომლის ბილოები მირჩილულია შესავალ და გამოსავალ ბუდეებთან და იზოლორებული არიან TEM Cell -ის კორპუსისაგან.

1.2 პროგრამული პაკეტის დამუშავება

TEM Cell -ის მოდელირებისა და ცოცხალ ობიექტზე ელექტრომაგნიტური ველის ზემოქმედების მოდელირებისათვის გამოყენებულ იქნა სასრულო სხვაობების მქონე დროითი დომენების Finite-Difference Time-Domain (FDTD) მეთოდი, ასევე თერმული ანალიზის მეთოდი. დამუშავებულ პროგრამაში გეომეტრიისა და ზომების პრობლემა წყდება საყოველთაოდ აღიარებულ ფორმულების, როგორიცაა STL, NASTRAN გამოყენებით, ან ხდებოდა ხელით გენერირება. ამასთანავე შესაძლებელია ვიზუალიზირდეს წარმოებული ბადის გეომეტრია და მოხდეს მისი რედაქტირება. ამის გამო საშუალება გვეძლევა კონსტრუქციებულ იქნას როგორც

ფორმის სხეულები. შესაძლებელია ბრუნვა ზომების შეცვლა დეფორმირება როგორც ნაწილობრივ ასევე სრულად. სხეულზე ზემოქმედებები ხდება მაუსის გამოყენებით და კეიბორდის გამოყენებით ან ბრძანებათა გამოყენებით console or script არეში.

ელექტრომაგნიტური ველის ცენტრალური გამომთვლელი პროგრამა არის ძირითადი ინსტრუმენტი ელექტრომაგნიტური ველის ანალიზისათვის, რომელიც დაფუძნებულია Yee ალგორითმზე. დამუშავებული ველის გამომთვლელი საშუალებას იძლევა აღებულ იქნას ყვლა შესაძლო გამოსხივების წყარო, ნებისმიერი გეომეტრიის მქონე სტრუქტურა და ამასთანავე განისაზღვროს ნივთიერების თვისებები. ამ გზით წამოდგენილ იქნას სისშირეები და ტემპერატურული ეფექტები. შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა სასაზღვრო პირობა, რაც უპირატესობას ანიჭებს აღებულ ქსელს. ამრიგად, შესაძლებელია შესრულდეს ყველ ველის გამოთვლა. ამასთანავე შესაძლებელია MAS –ის გამოყენება სათანადო გეომეტრიისათვის (ნაწილობრივი გეომეტრიული პრობლემები), როგორც უფრო ეფექტურისა (ე.ი ნაკლები რესურსების მომთხოვნისა და უფრო სწრაფისა). როგორც კი მოხდება ველის ამოსსნა ყველა წერტილის მიმართ, ხდება ინტეგრალური სიდიდეების გამოთვლა. კერძოდ გამოითვლება შთანთქმის კუთრი თანრიგის (SAR) გამოთვლა. ველს გამომთვლელის გამოსავალი, რომელიც SAR-ის მნიშვნელობებს შეიცავს



სურ. 11

წარმოადგენს ტემპერატურის გამომთვლელის შესავალს. იმიტაციის მოძრაობა ნაჩენებია სურათ 1-ზე.


ტემპერატურის ზრდის გამოთვლა ეფუძნება Bioheat –ის განტოლებას (Pennes მოდელი -.რომელსაც აქვს ცვლადი სასაზღვრო პირობები. თავდაპირველად ხდება ტემპერატურის საწყისი განაწილების განსაზღვრა. შემდგომ, წონასწორობიდან

გამომდინარე ტემპერატურულ გამაწილებაზე დაყრდნობით, ხდება მიღებული SAR – ით ტემპერატურის ნაზრის გამოთვლა. თუ ტემპერატურის გამოთვლისას აღმოჩნდება, რომ ნივთიერების დიელექტრიკული მახასიათებელები მნიშვნელოვნად იცვლება, ხდება პარამეტრების განახლება. ველი გამოითვლება ახალი პარამეტრებით, ვიდრე არ მოხდება ტემპერატურის მდგრადობა.


1.3 TEM Cell -ს მოდელირება

დიდი ზომის თოკუთხა გამტარები ფართოდ გამოიყენება განივი ელექტრომაგნიტური ველებისათვის. ისინი ხასიათდებიან ჰაერის დიელექტრიკით და თხელი ცენტრალური გამტარით (septum),. რომელიც გარშემორტყმულია თოკუთხა გამტარით. მთავარი მიზანია არსებობდეს ერთგვაროვანი განივი ელექტრომაგნიტური ველი. პირველად ასეთი გამტარები აღწერილ იქნა კლაუდეს Claudio მიერ. ჩვენს მიერ დამუშავეული TEM cell –ის ზომები მოცემულია სურ. 2 ზე.

TEM Cell



$$|GE|=8.2\text{cm} ; \quad GB=8.3\text{cm}; \quad CD=3.6\text{cm}; \quad AB=30.6\text{cm} ; \quad FC=2.2\text{cm} \quad GF=BC=0.123$$




$$eb=7.9\text{cm}; \quad bc=0.115 \text{ cm} ; \quad ab=27.6 ; \quad cd=2.8 \text{ cm} ;$$

სურ. 2 . TEM cell –ის გახასიათებელი ზომები.


septum -ის სისქე $t=1\text{mm}$. septum -ის სიგანის ცვალებადობით მიღწეულ იქნა 1800 მგპ-სათვის septum -ის ოპტიმალური ზომა. მოდელში შესაგალზე მოდებულ იქნა 1

გოლტი ძაბვა, 50 ომ წინადობაზე. TEM cell მეორე მხარე ბოლოვდება ასევე 50 ომიანი წინააღმდეგობით, რათა მოხდეს წინადობათა შეთანხმება. სურ. 3-ზე ნაჩვენებია მოდელირებული .TEM cell




სურ 3. TEM Cell-ის
გამოსახულება მოდელში.

ველის Ez სიმულირებიული კომპონენტი მოცემულია სურ 4-ზე. აქ თითეული ელექტრისათვის გამოთვლილია იმპედანსი, სიმძლავრე და S11. ასეთი ველისათვის ე.წ მდგარი ტალღების კოეფიციენტი ტოლია 1,1-სა ხოლო გადატანილი სიმძლავრე 99,5%-ს შეადგენს. როგორც სურ 5-ზე ვხედავთ ერთგვაროვანი ველი მინდება TEM Cell -ის ცენტრალურ ნაწილში და იგი გაცილებით მეტია ვიდრე საკვლევი ბიოლოგიური ობიექტი- მოლუსკის ნერვული სისტემა.





a)



b)

სურ. 4 E_z გელის გაგრცელება TEM cell -ში
ნაჩვევნებია სხვადასხვა ფერის ქარგაში.

a)



სურ 5. გელის ერთვგაროვანი ნაწილი TEM Cell-ში.


2. TEM Cell-ის ელექტრომაგნიტური მახასიათებლების გაზომვის ოქტო



სურ. 1 შექმნილი TEM Cell -ის ფოტო მობილურ ტელეფონთან ერთად

გაზომვები ჩატარდა HP 8757A Automatic network Analyzer და HP 8341B Synthesized Sweeper -ის გამოყენებით.

გაზომვების სქემატური გამოსახულება მოცემულია სურ. 2-ე



TEM Cell

სურ. 2 TEM Cell -ის გამოკვლევის სქემა

P_{in}/P_{out} გამოითვლია ფორმულით

$$P_{in}/P_{out} = 1 - [(KSW-1)/(KSW+1)]^2 = 4KSW/(KSW+1)^2$$

სადაც KSW არის მდგარი ტალღების კოეფიციენტი,

P_{in} არის TEM Cell-ში შესული ელექტრომაგნიტური ველის სიმძლავრე.


P_{out} არის –ის გამოსავალი ელექტრომაგნიტური ველის სიმძლავრე.

სურ-3 ზე ნაჩვენებია HP 8757A Automatic network Analyzer-ის ეკრანიდან გადაღებული ჩვენება, რომელიც ასახავს დამუშავებული TEM Cell-ის KSW –ბს 1700 მჰ-1900 მჰ სისშირეების დიაპაზონში.



სურ. 3 TEM Cell-ის მდგარი ტალღის კოეფიციენტები 1700 მგვტ-1900 მგვტ დიაპაზონში.

სურ 4 – ზე ნაჩვენებია TEM Cell-ის KSW – ბი 500 მგვტ-დან 3 გვერც სიხშირეების დიაპაზონში.



სურ. 4 TEM Cell-ის მდგარი ტალღის კოეფიციენტები 500 მგვტ-3 გვტ დიაპაზონში.

ქვემოთ მოცემულია TEM Cell –ის KSW –ბი და გამოსავალ სიმძლავრეების ფარდობები შესავალ სიმძლავრეებთან სიხშირეთა მდ დიაპაზონებში, რომლებიც შეესაბამებიან მობილური ტელეფონების გამოსხივების სიხშირეებს.

1,77-1,92 Ghz ინტერვალი.

f=1,847 Ghz

KSW=1,154

P_{out}/P_{in}=99,5%

2,27- 2,38 Ghz ინტერვალი.

f=2,3441 Ghz

KSW=1,36

P_{out}/P_{in}=97,7%

980 MHz ინტერვალი.

KSW= 1,14

P_{out}/P_{in}=99,5%

3. ჰელმოლცის კოჭების გამოცდის ოქმი

1-20 ჰერცი სიხშირის მქონე ელექტრომაგნიტური გელების ნეირონის აქტივობაზე ზემოქმედების შესწავლის მიზნით დამუშავდა ჰელმოლცის კოჭები. კოჭების წყვილის ცენტრში მაგნიტური გელის მნიშვნელობა გამოითვლება ფორმულით:

$$B = \mu H \approx 0.899 \mu \frac{NI}{R}$$

სადაც:

B არის მაგნიტური ნაკადი გამოსახული გაუსებში,

: არის გარემოს მაგნიტური შეღწევადობა,

N არის ხვიათა რიცხვი


I არის დენის ძალა მაგთულში.

R არის კოჭის დიამეტრი მეტრებში.

ჩვენს შემთხვევაში $N=523$, $I_{max}=1$ ამპერს. $R=0,1$ მ. ამრიგად მაქსიმალური მაგნიტური გელი ცენტრში 6 მილი ტესლაა.

ტესლა-გაუსმეტრი "Koshava-4"-ით კოჭებსშუა არეში სხვადასხვა წერტილებში გელის გაზომვის შედეგად დადგინდა, რომ კოჭებს შუა, ცენტრში, გელი ერთგავროვანია და მისი ზომებია $2 \times 2 \times 2$ სმ. ეს მოცულობა ბევრად მეტია საკვლევი ბიოლოგიური ობიექტის – მოლუსკის ნერვული სისტემის ზომებზე. ერთგვაროვნება ინახება დენის ყველა მნიშვნელობისათვის.

სურათზე ქვემოთ მოცემულია შექმნილი ჰელმჰოლცის კოჭების სურათი.



სურ. 1 პელმპოლცის კოჭები

პელმპოლცის კოჭების კვება ხდება დაბალი სიხშირის გენერატორიდან. იმის გამო, რომ გენერატორ იძლევა უაღრესად სუსტ დენებს (მილიამპერის რიგისა) ხოლო მაქსიმალური ძაბვა 15 კოლტის ფარგლებშია, შეიქმნა სიმძლავრის გამაძლიერებელი, რომელიც ამ დენების პიკურ მნიშვნელობას აძლიერებს 1 ამპერამდე.

ცხრილი გვიჩვენებს დენის მნიშვნელობებს შესავალ წრედსა და პელმპლცის კოჭების ხვიებში (გაძლიერებულს) და ასევე მაგნიტური ველის ინდუქციის მნიშვნელობას კოჭის შეა არგში.

ცხრილი

დენის მნიშვნელობა შესავალ წრედში მილიამპერებში	დენის მნიშვნელობა პელმპოლცის კოჭების ხვიებში მილიამპერებში	მაგნიტური ველის ინდუქცია მილი ტესლებში
1	100	0.6
2	200	1.14
3	300	1.68
4	400	2.22
5	500	2.76
6	600	3.3
7	700	3.84
8	800	4.38
9	900	4.83
10	1000	6

